



დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

დარგობრივი ეკონომიკა და მენეჯმენტი

Sector Economics and Management

ფაკულტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა

Transportation and Mechanical Engineering Faculty

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

სრული პროფესორი გოდერძი ტყემელაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
Doctor of Business Administration

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

მრეწველობისა და ტრანსპორტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროსთვის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დოქტორანტურაში ჩარიცხვის სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად

სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

- **ცოდნა და გაცნობიერება** – მრეწველობისა და ტრანსპორტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროს, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მრეწველობისა და ტრანსპორტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; თანამედროვე კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; თანამედროვე ორგანიზაციული სქემების დამუშავება, ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება, მენეჯმენტის მეთოდთა სრულყოფა,
- **დასკვნის გაკეთების უნარი** – მრეწველობისა და ტრანსპორტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; მენეჯმენტის ფუნქციათა გაფართოებისა და მენეჯერული გადაწყვეტილებების შესრულებამდე დაყვანის ფორმების ძიება; ახალი საინჟინრო ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება.
- **კომუნიკაციის უნარი** – მრეწველობისა და ტრანსპორტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
- **სწავლის უნარი** – მრეწველობისა და ტრანსპორტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- **ღირებულებები** – მრეწველობისა და ტრანსპორტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- ლექცია პრაქტიკული სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა
 კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - არადამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 41-50%, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- (F) - სრულიად არადამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი დავალება;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტის პრეზენტაცია; დაკვირვება.

დასაქმების სფერო

სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, სამრეწველო, სატრანსპორტო ორგანიზაციები, დაწესებულებები და ფირმები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ, კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
1.		უცხოური ენის სპეცკურსი	10	5					15
2.		სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსი	10	5					15

3.		ლიტერატურის – საინფორმაციო წყაროების მიმოხილვა, აქტუალურობის დასაბუთება, მიზნის და ამოცანების ჩამოყალიბება	10	5					15
4.		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა		15	15	30	15		75
5.		თემატური სემინარი №1			15				30
6.		თემატური სემინარი №2					15		
7.		დისერტაციის დასრულება და დაცვა						30	30
ECTS		სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
კრედიტები		სასწავლო წელს	60		60		60		180

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

გოდერძი ტყემელაშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
13 მაისი 2011 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური